ხელშეკრულება
გამარტივებულიშესყიდვისშესახებ №7

დ.მესტია **22.01.2024 წ.**

ერთის მხრივ, მესტიის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში „შემსყიდველი",) მერის კაპიტონ ჟორჟოლიანის სახით, და მეორეს მხრივ (შემდგომში "მიმწოდებელი) **შპს „ბასია ენდ კომპანი"** წარმოდგენილი დირექტორის ქეთევან ხვიჩიას სახით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე CPV:37400000.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია : სპორტული ინვენტარის შესყიდვა (სნოუბორდი).

2.ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ვალუტით- ლარით.
2.2.ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 3 444 (სამიათას ოთხას ორმოცდაოთხი) ლარი.
2.2 დაფინანსების წყარო : ადგილობრივი ბიუჯეტი.

. **3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია**

3.1."მიმწოდებელი" იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი დააკმაყოფილებს "შემსყიდველის" მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

4.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ა დგილი და პირობები

4.1. მომსახურების გაწევა მოხდება 2024 წლის 15 თებერვლის ჩათვლით.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დასტურდება "შემსყიდველისა" და "მიმწოდებლის" მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი

6.1. "მიმწოდებელთან" ანგარიშსწორებაგანხორციელდებალარებში;
6.2 შესყიდვისობიექტისღირებულებისანაზღაურებამოხდებაუნაღდოანგარიშსწორებით.
6.3. ანგარიშსწორება "შემსყიდველის" მიერმოხდებაშესყიდვისობიექტისმიწოდებისა და მიღება-ჩაბარებისაქტისწარმოდგენისშემდეგარაუგვიანეს 10 (ათი) საბანკოდღისვადაში.

7. მხარეთა უფლება- მოვალეობანი

7.1. "შემსყიდველს" უფლება აქვს:
- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხი და ნაკლის გამოვლენის შემთხვევაში მოითხოვოს ნაკლის გამოსწორება.
7.2."შემსყიდველი" ვალდებულია:
- მოახდინოს ანგარიშსწორება "მიმწოდებელთან" ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისშესაბამისად;
- უზრუნველყოსშესყიდვისობიექტისმიღება.
7.3."მიმწოდებელს" უფლება აქვს:
- მოსთხოვოს "შემსყიდველს" შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
7.4. მიმწოდებელი ვალდებულია :
-მიაწოდოს "შემსყიდველს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
-დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა

8. მხარეთაპა სუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
8.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა. თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
8.3.ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება,რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
8.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
8.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,05 %-ს ოდენობით.

9 .ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1.ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2024 წლის 30 მარტის ჩათვლით.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ,მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის ,გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

11. ფორს-მაჟორი

11.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი,მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

11.2თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება,კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
12.3. მხარერომელსაცშეექმნაფორს-მაჟორულიგარემოებადაუყოვნებლივაცნობებსამისშესახებმეორემხარეს.
~

12. დავები და მათიგადაწყვეტისწესი

12.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა მიერ წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილი ქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
12.2.შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13.ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 ,,შემსყიდველი" უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
13.2 ხელშეკრულების კონტროლს (ინსპექტირებას) ახორციელებს მესტიის მუნიციპალიტეტის მერის მიერ შემდგომში შექმნილი ჯგუფი.
13.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყონებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

13.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოსკანონმდებლობითგათვალისწინებულიწესით.

14. სხვა პირობები

14.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონულად, ქართულ ენაზე, რომლის ყოველი ელექტრონული ეგზემპლარი, დამოწმებული/დადასტურებული კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით/კვალიფიციური ელექტრონული შტამპით, წარმოადგენს ორიგინალს.
14.2. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი ქვემოთ ხელისმოწერით ადასტურებს, რომ მიმწოდებლის მიმართ სრულად აკმაყოფილებს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლით დადგენილ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს.
.

15.მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი”

მესტიის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: დ. მესტია სეტის მოადანი №1

ს/კ 235895046

“მიმწოდებელი”

შპს ,,ბასია ენდ კომპანი“
საბანკო რეკვიზიტები:

საბანკო რეკვიზიტები
ა/ნ GE07TB7904736020100003

ს/კ: 205258399

მერი:

/კაპიტონ ჟორჟოლიანი/

MESTIA MUNICIPALITY
Digitally signed by MESTIA MUNICIPALITY
Date: 2024.01.23 12:43:00 +04'00'

დირექტორი:

/ქეთევან ხვიჩია/

Ketevan Khvichia 01010001864
Digitally signed by Ketevan Khvichia
Date: 2024.01.22 19:08:38